
მოგზაურობა ეკონომიკის სამყაროში



*საქართველოს უნივერსიტეტი საქართველოში არსებულ უმაღლეს სასწავლებლებს შორის აშკარად გამოირჩევა სწავლების ორიგინალური სისტემით. ნიშანდობლივია, რომ უნივერსიტეტის თითქმის ყველა სპეციალობაზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეკონომიკის სწავლებას. სწორედ ამითაა განპირობებული ის გარემოებაც, რომ უნივერსიტეტის ინიციატივით რედაქცია იწყებს ახალი მუდმივმოქმედი რუბრიკის პრემიერას: **„ეკონომიკა ყველასათვის“.***

*რუბრიკას გაუძღვება საქართველოს უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ჟურნალ **„ბიზნესი და კანონმდებლობის“** სამეცნიერო საბჭოს წევრი, **ჯოტე აბულაძე.***

დღეს მოსახლეობის ის ფენებიც კი, რომლებიც ჩვეულებრივ ნაკლებად ან თითქმის არ ინტერესდებოდნენ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საკითხებით, ყურადღებით ადევნებენ თვალყურს მიმდინარე მოვლენებს, ცდილობენ გაერკვნენ სიტუაციაში.

ამდენად, ინფორმაციაზე მოთხოვნა სწრაფად იზრდება. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ბაზარზე მისი მიწოდების ნაკლებობა ნამდვილად არ იგრძნობა. თავისი განსაზღვრული მარკეტინგული ნიშა ამ ბაზარზე კარგა ხანია მოიპოვა ჟურნალმა **„ბიზნესი და კანონმდებლობა“.** თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს უნივერსალური გამოცემაა, რომელიც სწრაფად ეხმაურება ჩვენი ქვეყნისა და საერთაშორისო ეკონომიკური ცხოვრების საკვანძო საკითხებს, უმალვე ამჩნევს თანამედროვე ტენდენციებს.

ვფიქრობ, ჟურნალი საინტერესოა არა მხოლოდ ბიზნესმენებისთვის, არამედ, მათთვის, ვისაც ერთხელ მაინც გასჩენია სურვილი გაიკვლიოს გზა ეკონომიკურ ლაბირინთებში. ჟურნალის თემატიკა არა მხოლოდ ეკონომიკურ პრობლემატიკას, არამედ მომიჯნავე ცოდნის იმ ბლოკსაც მოიცავს, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ბიზნესის განვითარება. პუბლიკაციების მეცნიერული თავდაჭერილობა გადმოცემის პოპულარულ სტილთანაა შერწყმული, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ჟურნალის შემეცნებითობას.

ჟურნალი **„ბიზნესი და კანონმდებლობა“** ჭეშმარიტი გზამკვლევია ბიზნესმენებისა და მენეჯერებისთვის. იგი აცნობს მკითხველს ცნობილ ეკონომისტთა, ექსპერტთა და პრაქტიკოსთა შეხედულებებს.

ტრადიციულად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმატების ფაქტორებად მიჩნეულია განხილული თემების აქტუალურობა, ინოვაციურობა და რაც მთავარია – ინფორმაციის სარწმუნოება, ანალიზის სიღრმე, დასკვნებისა და რეკომენდაციების გამოყენების შესაძლებლობა.

თუ გაეცნობით ჟურნალის სამეცნიერო საბჭოს, დარწმუნდებით, რომ მის შემადგენლობაში საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი, ავტორიტეტული მეცნიერები, ეკონომისტები, იურისტები, წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების სპეციალისტები არიან. სწორედ ეს განაპირობებს მასალების აქტუალურობას, სიღრმესა და მრავალფეროვნებას, ფართო თეორიული ჰორიზონტის, ზოგადი თეორიის დაკავშირების უნარს ჯანსაღ პრაქტიციზმთან, რაც ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა დაეხმარო შენი ქვეყნის ეკონომიკურ აღმშენებლობას.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჟურნალი **„ბიზნესი და კანონმდებლობა“** საკმაოდ გამოცდილი პერსონალური ეკონომიკური მრჩეველია ყველასათვის. იგი ხშირად სთავაზობს მკითხველს პრობლემათა გადაწყვეტის ალტერნატიულ ვარიანტებს, ცდილობს გაარკვიოს რთულ ეკონომიკურ სიტუაციაში, დაეხმაროს დასკვნების გამოტანასა და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებაში.

ამრიგად, ბრენდი ჩამოყალიბებულია. საფუძველი უკვე ჩაყრილია, ანუ სახეზეა ის, რასაც შეიძლება დავეყრდნოთ. მიუხედავად ამისა, რედაქცია არ უნდა დამშვიდდეს, თამასა სწორედ ახლა უნდა აიწიოს, რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს მკითხველთა ინტერესი, რომ გამოქვეყნებული მასალები იყოს საინტერესო და სასარგებლო არა მხოლოდ მეცნიერების, ბიზნესმენებისა და მენეჯერებისთვის, არამედ მათთვისაც, ვისაც სურს აითვისოს ეკონომიკის ანბანი, იმ ახალგაზრდებისთვის, რომელთა მიერ არჩეული სპეციალობა არ არის უშუალოდ დაკავშირებული ეკონომიკასთან, ვინაიდან, როგორც ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი, ჰარვარდის უნივერსიტე-

ტის პროფესორი **გრეგორი მენქიუ** აღნიშნავს: **„ეკონომიკის პრინციპები შეიძლება მრავალ ცხოვრებისეულ სიტუაციაში გამოიყენოთ, მნიშვნელობა არა აქვს, რას გააკეთებთ მომავალში – გაზეთს იკითხავთ, კომპანიას ჩაუდგებით სათავეში თუ ოვალურ ოფისში იჯდებით – თქვენ ყოველთვის კმაყოფილი იქნებით, რომ ეკონომიკას სწავლობდით.“**

ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბების პრობლემა ძალზე აქტუალურია არა მხოლოდ ბიზნესისთვის (განსაკუთრებით მცირე მეწარმეებისათვის), არამედ არაეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტებისა და უფროსკლასელთათვისაც, აგრეთვე მათთვის, ვისაც სურს ეფექტიანად გაუძღვეს საოჯახო მეურნეობას. აღსანიშნავია, რომ სწორედ ეკონომიკური კრიზისის პირობებში მრავალმა ადამიანმა ცხადად შეიგრძნო ძირითადი ეკონომიკური პრობლემების შესწავლის აუცილებლობა.

ჩემთვის, როგორც ერთ-ერთი ავტორისა და ჟურნალის სამეცნიერო საბჭოს წევრისათვის სასიამოვნო და საამაყოა რედაქციასთან თანამშრომლობა. აქ ნებისმიერ საკითხს გულისხმიერად, კონკრეტულად და მაღალპროფესიულად უდგებიან. ამჯერადაც (როგორც ყოველთვის), ჟურნალის სამეცნიერო საბჭომ მხარი დაუჭირა ჩემს წინადადებას ჟურნალში შემოვიღოთ რუბრიკა **„ეკონომიკა ყველასათვის“.** ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკითხვა ცხადყოფს, რომ საზოგადოების ერთ ნაწილს სურს პოპულარულ დონეზე გაეცნოს ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების არსს. აღსანიშნავია, რომ ეს სურვილი გამოწვეულია არა მხოლოდ მატერიალური გამდიდრებისკენ სწრაფვით, არამედ იმითაც, რომ კარგად გააცნობიერონ, თუ როგორია თითოეული ჩვენგანის მომავალი – როგორ ვითარდება ქვეყანა ეკონომიკური თვალსაზრისით, რას გულისხმობს ამჟამად ფართოდ გავრცელებული ეკონომიკური ტერმინები: **ინფლაცია, უმუშევრობა, სრული დასაქმება, ეკონომიკური ზრდა, მთლიანი შიდა პროდუქტი, ინვესტიციები, და სხვა.**

ბუნებრივია, რომ ეკონომიკური კრიზისის პირობებში სოციუმის ყველაზე აქტიურ ნაწილს: ბიზნესმენებს, პოლიტიკურ ელიტას, შემოქმედებით ინტელიგენციას, სტუდენტებს ხშირად უჩნდებათ კითხვები ნეოლიბერალური მოდელის შეუცდომლობაზე, ბაზრის **„უხილავი ხელის“** მუდმივ ეფექტიანობაზე, რაც მავანთა აზრით თითქოს სრულად გამორიცხავს ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის აუცილებლობას. ზოგი ეჭვის ქვეშ აყენებს ჰიპერურბანიზაციის გარდუვალობას, განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის აგრარული სექტორის მდგომარეობის გათვალისწინებით.



ჩვენი პროექტი მათთვისაა განკუთვნილი, რომლებსაც სურთ გაერკვნენ ეკონომიკის ელემენტარულ საკითხებში, მაგრამ აქტიური საქმიანობისა და ყოველდღიური პრობლემების გამო არა აქვთ ამის დრო და საშუალება. ჩვენ შევეცდებით მივაწოდოთ მათ საინტერესო მასალა მაქსიმალურად მოკლე ფორმით, რათა მისმა ათვისებამ არ მოითხოვოს დიდი დრო და ძალისხმევა.

დიდი იმედი მაქვს იმისა, რომ ჩვენი ახალი რუბრიკა დაეხმარება მკითხველს ეკონომიკური სამყაროს უკეთ გააზრებაში.

ეკონომიკური ანბანის გაცნობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ, ვინაიდან (აქ კვლავ პროფესორ **გ. მენქიუს** დავესესხები) **„ეკონომიკა იმ საგნებს მიეკუთვნება, სადაც მცირე ცოდნასაც კი შორს მივყავართ.“**

თუ ეს მიზანი მიღწეული იქნება, ე.ი. ჩვენს ძალისხმევას ამაოდ არ ჩაუვლია. ახლა ისღა დაგვრჩენია, რომ ეკონომიკის საოცარ სამყაროში მოგზაურობის მსურველებს ვუსურვოთ ბედნიერი მგზავრობა.

ეკონომიკის საგანი და მეთოდი

ეკონომიკა (ბერძ. ოიკოს – სახლი, მეურნეობა, ნომოს – კანონი) საოჯახო მეურნეობის გაძღოლის წესს ნიშნავს. ეს ტერმინი პირველად ანტიკური ეპოქის ცნობილმა ბერძენმა ფილოსოფოსმა **ქსენოფონტემ** გამოიყენა.

ეკონომიკური თეორიის საგანი საბაზრო მეურნეობის ანა-

ლიზია. იგი შეისწავლის არა რესურსებს, როგორც ასეთს, არამედ ადამიანების ეკონომიკურ ქცევას. ამრიგად, ეკონომიკური თეორია ჰუმანიტარული (საზოგადოებრივი) მეცნიერებაა. მისი მთავარი ფუნქცია ადამიანებისთვის საჭირო დოვლათის შექმნა, მათი მოთხოვნის დაკმაყოფილებაა. ეკონომიკური მეცნიერების საგანი ის ეკონომიკური ურთიერთობებია, რომლებიც ყალიბდება ადამიანებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის ეკონომიკური დოვლათის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესში.

ეკონომიკური თეორია შეისწავლის დოვლათის წარმოებისა და განაწილების პრობლემებს შეზღუდული რესურსების პირობებში, წარმოების, ფასწარმოქმნის, უმუშევრობის პრობლემებსა და ტენდენციებს. ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიზნებია – **ეკონომიკური ზრდა, სრული დასაქმება, ეკონომიკური ეფექტიანობა (მაქსიმალური უკუგება მინიმალური დანახარჯებით), ფასების სტაბილურობა, ეკონომიკური თავისუფლება, შემოსავლების სამართლიანი განაწილება, სავაჭრო ბალანსი (ექსპორტისა და იმპორტის ღირებულების თანაფარდობა).**

ეკონომიკური თეორია მჭიდროდაა დაკავშირებული მრავალ სხვა მეცნიერებასთან – ფილოსოფიასთან, მათემატიკასთან, სტატისტიკასთან, ფსიქოლოგიასთან, ისტორიასთან, დემოგრაფიასთან, და სხვა.


კვლევის ობიექტის თვალსაზრისით ეკონომიკური თეორია პირობითად ორ ნაწილადაა წარმოდგენილი, რომლებსაც **მიკროეკონომიკასა** და **მაკროეკონომიკას** უწოდებენ.

მიკროეკონომიკა შეისწავლის შედარებით მცირემასშტაბიან ეკონომიკურ პროცესებსა და მოვლენებს, ცალკეული ეკონომიკური სუბიექტების – საწარმოების, ფირმების, კომპანიების, საოჯახო მეურნეობების, ინდივიდუალური მეწარმეების სამეურნეო საქმიანობას, მათ შორის არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობებს. მიკროეკონომიკის შესწავლის ობიექტია აგრეთვე მომხმარებლები, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, მათი საბაზრო ქცევა, ეკონომიკური ურთიერთობა სახელმწიფოსთან.

იმ შემთხვევაში, როდესაც მიკროეკონომიკაზე, როგორც მეცნიერებაზე ვსაუბრობთ სიტყვა „მიკრო“ უმნიშველოვანეს პრინციპზე – **ეკონომიკურ ატომიზმზე** მიგვანიშნებს, რაც გულისხმობს ეკონომიკის, როგორც სამეურნეო სისტემის ცალკეული შემადგენლების შესწავლას.

მაკროეკონომიკა განიხილავს ფართომასშტაბიან ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს, ქვეყნის ეკონომიკას, მის მეურნეობას მთლიანად, შემოსავლების, დასაქმების, ფასების დინამიკის, აგრეგირებულ (ერთობლივ) მაჩვენებლებს, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის კანონზომიერებებს.

ყოველი სისტემა ურთიერთდაკავშირებული ელემენტების ერთობლიობაა. სწორედ ამიტომ ეკონომიკური სისტემის გაცნობას დავიწყებთ ერთ-ერთი მთავარი ელემენტით, ძირითადი შემადგენელი ნაწილით ამ სისტემისა.



წარმოების რესურსები და ფაქტორები

საკუთარი ბიზნესის დაწყების შესაძლებლობა სულ უფრო მეტ ადამიანს იზიდავს. ეკონომიკური თვალსაზრისით მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ მეწარმე და დაქირავებული მუშაკი სრულიად განსხვავებული ეკონომიკური კატეგორიებია. მეწარმის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა – **წარმოების ფაქტორთა ეფექტიანი გამოყენებაა**. მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით ადამიანი შრომასთან ერთად მუდამ იყენებს ბუნებრივ რესურსებს. ამრიგად, მოთხოვნილებათა ზრდის კვალობაზე იზრდება ეკონომიკური წრებრუნვის პროცესში ჩართული რესურსების მოცულობა. ეს მოსახლეობის ზრდასთან და ადამიანის მოთხოვნილებების ხარისხობრივ ცვლილებებთანაა დაკავშირებული.

ეკონომიკურ რესურსებში იგულისხმება ბუნებრივი, შრომითი და ადამიანის შრომით შექმნილი მატერიალური რესურსები. აღსანიშნავია, რომ მათგან განუსაზღვრელი რაოდენობით არც ერთი არ არის, ყველა მათგანი შეზღუდულია, რაც აგრეთვე ზღუდავს საქონლისა და მომსახურების წარმოებას.

სიტყვა **„რესურსი“** (ფრანგ.) **დამხმარე საშუალებას**, ხოლო ეკონომიკური რესურსი კი – **წყაროებს, წარმოების უზრუნველყოფის საშუალებებს ნიშნავს**. ზოგჯერ **„რესურსს“** წარმოე-

ბის ფაქტორების სინონიმადაც იყენებენ, მაგრამ ეს გარკვეულ უზუსტობასთანაა დაკავშირებული. ბუნებრივი და შრომითი რესურსები წარმოების მხოლოდ პოტენციური კომპონენტებია, წარმოების ფაქტორები კი (მიწა, შრომა, კაპიტალი) – წარმოების პროცესში უშუალოდ ჩართული რესურსებია. წარმოების ფაქტორები ოთხ ჯგუფად შეიძლება დავყოთ:

1. **წარმოების პროცესში ჩართული ბუნებრივი რესურსები;**
2. **წარმოების პროცესში უშუალოდ დასაქმებული შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაწილი;**
3. **კაპიტალი – ადამიანის მიერ შექმნილი მატერიალური და ფინანსური რესურსები;**
4. **სამეწარმეო უნარი.**

რესურსების შეზღუდულობა ამცირებს ეკონომიკის შესაძლებლობებს. ამრიგად, „A“ საქონლის წარმოების გაზრდა მოითხოვს „B“ საქონლის წარმოებისთვის გამოყენებული რესუსების ნაწილის გამოყენებას, რაც, თავის მხრივ, ამცირებს ამ უკანასკნელის წარმოებას. ყოველივე ამის შედეგად ნებისმიერი ქვეყნის, მათ შორის ყველაზე მდიდარი საზოგადოების მატერიალური მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილება შეუძლებელია. ეს კი აყენებს მათ არჩევანის (ალტერნატივის) წინაშე.

საკუთრების არსი და ფორმები, მისი ადგილი საზოგადოების ეკონომიკურ სისტემაში

არსებობს საკუთრების ორი ძირითადი სუბიექტი **(სახელმწიფო და მოქალაქეები)** შესაბამისად, საკუთრების ორი ფორმა – **კერძო და სახელმწიფო საკუთრება**. კერძო საკუთრების ფორმებია **– ინდივიდუალური** და **კოლექტიური.**

საკუთრება გულისხმობს სუბიექტ-ობიექტისა და სუბიექტ-სუბიექტის ურთიერთობებს ქონების მითვისების, ფლობის, გამოყენებისა და განკარგვის პროცესში.

საკუთრების უფლება საზოგადოების მიერ სანქცირებული (კანონები, ტრადიციები, ჩვეულებები) ადამიანების ქცევითი ურთიერთობაა, რომელიც დოვლათის არსებობასა და მის გამოყენებასთანაა დაკავშირებული. საკუთრების უფლება მოიცავს:

- **უვადო ფლობის უფლებას;**
- **გამოყენების უფლებას;**
- **ქონების მართვის უფლებას;**
- **შემოსავლის მიღების უფლებას;**
- **სუვერენის უფლებას (გასხვისება, მოხმარება, შეცვლა);**
- **უსაფრთხოების უფლებას (ქონების დაცვა ექსპროპრიაციისა და ზიანის მიყენებისგან გარეშე პირების ან ძალების მხრიდან);**
- **მემკვიდრეობით გადაცემის უფლებას.**

ფლობის, გამოყენებისა და მართვის უფლება უშუალოდაა დაკავშირებული ეკონომიკასთან, ხოლო შემოსავლის მიღების უფლება კი – ქონების ეკონომიკური ფუნქციის ეკონომიკური რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი ფორმაა.

აღნიშნული უფლებები უთუოდ ახდენს გავლენას **რესურსების განაწილებაზე, შემოსავლების განაწილებასა და დონეზე, ფასწარმოქმნის პოლიტიკაზე, ტრანსაქციულ დანახარჯებზე (ინფორმაციის მოძიების, მოლაპარაკებებისა და კონტრაქტების დადების, საკუთრების უფლებების დაცვისა და სხვა ოპერაციული დანახარჯები).**

საკუთრების ტიპები და ფორმები

საკუთრების ტიპები	საკუთრების ფორმები
• პირველყოფილ-თემური • მონათმფლობელური • ფეოდალური • კაპიტალისტური • სოციალისტური	• კერძო (ინდივიდიალური და კოლექტიური) • სახელმწიფო

საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტულ-ისტორიულ პირობებთან უშუალოდაა დაკავშირებული საკუთრების ტიპები (განსაკუთრებული ეტაპი საკუთრების განვითარების პროცესში) და ფორმები **(იხ. სქემა)**.

საკუთრების ტიპი და ფორმა, როგორც ხედავთ, უშუალოდ საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტულ-ისტორიულ პირობებს უკავშირდება. საკუთრების ტიპი კი განსაზღვრული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის არსებობითაა განპირობებული.

საკუთრების ტიპებს საკუთრების სხვადასხვა ფორმები შეესაბამება. **საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფო საკუთრების წარმოიშობის ძირითადი მიზეზებია ნაციონალიზაცია (როგორც წესი, გამოსყიდვის მეთოდით), ახალი ობიექტების მშენებლობა სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრებით, სახელმწიფოს მიერ კერძო კომპანიების აქციების საკონტროლო პაკეტის შესყიდვა.**

საკუთრების თითოეული ფორმა მაქსიმალურად ეფექტიანია ეკონომიკის კონკრეტულ სფეროებში. **სახელმწიფო საკუთრება წარმატებით გამოიყენება საბაზრო სტიმულირების შეზღუდული შესაძლებლობების სფეროებში, აქციონერული და კოლექტიური კი მიზანშეწონილია სახსრების კონცენტრირების აუცილებლობის პირობებში. აქციონერული საკუთრება – ჯგუფური საკუთრებაა, რომელიც იქმნება ფასიანი ქაღალდების ემისიისა (მიმოქცევაში გამოშვების) და რეალიზაციის გზით.**